მთავარია არ დავკარგოთ რწმენა

თბილისი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 20 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – მტკ (ბუდაპეშტი) 1:4 (0:1).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, კოპალეიშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე (დვალიშვილი), დარასელია, წერეთელი.

“მტკ”: გაშპარი, სიგეტი, ჩეტენი, ნირე, კოვაჩი, ჩორნა, ტაკაჩი, შიკლოში, კიში, ბორშო, კუნსტი.

მსაჯი: კ. გუცა (რუმინეთი).

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის მერვედფინალში თბილისის “დინამოს” წილისყრით ბუდაპეშტის მტკ შეხვდა. რა თქმა უნდა მეტოქე შიძლება უფრო ძლიერიც გამომდგარიყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლებოდა ვარაუდის დამყარება იოლ გამარჯვებაზე ბუდაპეშტის ერთერთ საუკეთესო, დიდი ტრადიციების მქონე გუნდთან. უნგრული ფეხბურთის ძალა და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე ყველამ კარგად იცის, მტკ კი სწორედ ამ ტრადიციებზე არის აღზრდილი და გამოწრთობილი.

მატჩის წინა დღეს გამართულ პრეს–კონფერენციაზე სტუმართა მწვრთნელს მ. კოსტჰეის არ დაუმალია, რომ მისი გუნდი თბილისში აპირებდა ევროპული ევროპული ტურნირების კლასიკური ნიმუშით თამაშს: საიმედო, საფუძვლიანი დაცვა, მეტოქის იერიშების უვნებელყოფა (განსაკუთრებით პირველი 20 წუთის მანძილზე), მერე კი კონტრშეტევების განვითარება მათი მაქსიმალური გამოყენება მეტოქის კარის ასაღებად.

უნგრელები სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ დინამოელთა მძლავრ შტურმს მატჩის დასაწყისში. უკვე მე–2 წუთზე გაშპარმა ძნელი ბურთი აიღო ქორიძისგან, შემდეგ ძალზე სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდნენ ხიზანიშვილი, დარასელია, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, წერეთელი. ასეთ შეტევებს მარტო მცველები ვერ გაუძლებდნენ, ამიტომ უნგრელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე დაწიეს ნახევარმცველებიც და თბილისელთა იერიშებს წინ აღუდგა მძლავრი ხაზი 6–7 მოთამაშეების შემადგენლობით.

მაგრამ ამ პირობებშიც კი თავისუფლად შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო ბურთის გატანა. დაახლოებით 10–12 წუთის მანძილზე მტკ–ს კართან იმდენი მომენტი შეიქმნა, რომ ერთ გოლს „თავზე საყრელად“ ეყოფოდა, მაგრამ მისი გატანა ვერ მოხერხდა. ხელსაყრელი მდგომარეობები უნაყოფოდ დაიკარგა, ამასობაში კი “დინამოს” კართან თანდათან გამოჩნდნენ პირველი „მზვერავები“ – ჯერ ბორშო, მერე კუნსტი. უკვე მაშინ გახდა ცხადი, რომ ბუდაპეშტელები მარტო ყრუ დაცვას არ დასჯერდებოდნენ და თავიანთი გეგმის შესასრულებლად ყველაფერს გააკეთებდნენ.

შუა ტაიმისთვის კონტრშეტევათა რაოდენობამ იმატა. მაგრამ ეს მარტო მტკ–ს ენერგიას და მონდომებას არ უნდა მივაწეროთ. დინამოელებმა მოუკლეს ტემპს, სადღაც შუა მინდორში უმისამართოდ შესრულდა რამდენიმე გადაცემა, მერე კომბინაციური თავდასხმაში შეცვალა ზედმეტმა ინდივიდუალურმა გარღვევებმა, ბურთის ტარებამ. ეტყობა თბილისელები დეზინფორმირებული იყვნენ იმის თაობზე, რომ მტკ ძლიერი გუნდია. 15 წუთის აბსოლუტურმა უპირატესობამ მოთამაშეებში განამატკიცა ეს შეხედულება, ზოგიერთი მათგანი მოდუნდა, დაკარგა მობილიზების განწყობილება.

ამასობაში უნგრელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და თავიანთი გეგმის შემდგომი ნაწილის შესრულებას შეუდგნენ. ვარსკვლავები მათ შეიძლება მათ არა ჰყავთ, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით გუნდი, უდავოდ, მაღალ დონეზეა მომზადებული. ფეხბურთელები მოძრაობენ სწრაფად, დროზე იხსნებიან, გადაცემები არ იგვიანებს, თავისუფა პოზიციაში მყოფი მოთამაშე მათთვის ყოველთვის მთავარ ფიგურას წარმოადგენს კომბინაციისათვის.

მიმდინარეობდა მატჩის 31 წუთი, როცა „მოწმენდილი ციდან“ პირველმა მეხმა დაიქუხა. იმ სიტაციაში, რომელსაც საგოლეს ვერაფრით უწოდებ, კუნსტმა კარის წინ მიაწოდა ბურთი, დინამოელთა სტოპერებმა საშუალება მისცეს შიკლოშის შეუფერხებლად ემოქმედა, არც გოგია გამოვიდა წინ და უნგრელმა ზუსტად ითამაშა თავით – 1:0.

ამ გოლის გაქვითვა დინამოელებს შეეძლოთ მაშინვე . შესვენების შემდეგ – დვალიშვილ – კოპალეიშვილის კომბინაციის დასასრულს, ამ უკანასკნელმა კი დაკარგა უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობა , ხოლო 51–ე წუთზე მასპინძლებს თვითონ მოუხდათ თამაშის მეორედ დაწყება ცენტრიდან, როცა კუნსტმა კარგად მიაწოდა კუთხური. აქ ისევ უხეშად შეცდნენ მცველები და მეკარე, და ტაკაჩმა თავით გაგზავნა ბურთი ბადეში. 76–ე წუთზე მტკ–მ კვლავ გაითამაშა ბურთი ჩვეული სქემით ფლანგი – ცენტრი და იმავე ტაკაჩმა არ დააყოვნა გამოეყენებინა მეტოქე სტოპერების ჩაურევლობა საქმეში. თავით დარტყმული ბურთი ბადეში აღმოჩნდა – 3:0.

აქ ჩვენ გაგვახსენდა თბილისის „დინამოს“ მატჩი უეფა–ს თასზე ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთა“ და პირდაპირი ანალოგია წარმოგვიდგა თვალწინ. თბილისელები მაშინაც ვერ გაერკვნენ მოწინააღმდეგის მანერებში და ზუსტად ი გოლები მიიღეს , როცა საჭირო იყო დასწრება თავით თამაშისას ან მეკარის დროული გამოსვლა წინ. ეტყობა ის მწარე გაკვეთილი დავიწყებას იქნა მიცემული.

86 – ე წუთზე დინამოელები მთელი შემადგენლობით იყვნენ გადასული უნგრელთა ნახევარზე, შეტევა მცველებმა მოიგერიეს, შემდეგ ბურთი სწრაფად გადასცეს წინ მყოფ კიშს. გოგიამ შუა მინდორში გამოსვლით სცადა ხიფათის მოგერიება, მაგრამ კიშმა მოასწრო და ანგარიში გახდა 4:0.

მატჩის ბოლო წუთზე თბილისელები „მშრალად“ დამარცხებას გადაარჩინა მაჩაიძის თავურმა დარტყმამ – 1:4.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ჩვენი გუნდის ამ დამარცხებიდან?

თბილისელებმა მატჩი წააგეს უპირველეს ყოვლისა ტაქტიკური თვალსაზრისით. მიუტევებელი შეცდომები ჰქონდათ მცველებს, მეკარეს, რომლებმაც 3 გოლი გაუშვეს ერთიდაიგივე, ანალოგიურ სიტუაციებში, გამოცდილ ფეხბურთელებს კი ასეთი ლაფსუსები არ უნდა მოსდიოდეთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცე მოწინააღმდეგეს თავისუფალი მოქმედების საშუალება არსად, მით უმეტეს საჯარიმო მოედანში. დამარცხებაში ბრალი მიუძღვით თავდამსხმელებსაც, რომლებმაც ვერ გამოიყენეს გოლის გატანის უამრავი შესაძლებლობა. პირველი 10–15 წუთის შემდეგ ანგარიში აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო და მაშინ, რასაკვირველია, თამაში სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. რამდენიმე ჩვენმა ფეხბურთელმა დაკარგა ისეთი მომენტი რომელიც არ ეპატიება მაღალი კლასის ოსტატს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ გუნდს აკლდნენ ყიფიანი და გუცაევი, საქმეს ეს არ შველის.

ახლა მდგომარეობა ძალზე რთულია. 3–გოლიანი სხვაობის ლიკვიდირება ძნელზე ძნელი ამოცანაა, უნგრელები ყველაფერს გააკეთებენ მონაპოვრის შესანარჩუნებლად, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ჩვენ მრავალი შემთხვევა ვიცით, როცა ნამდვილი სპორტული თავგანწირვის, ვაუკაცური შემართების გამოჩენისას საბჭოთა სპორტსმენებს თითქმის უიმედო ვითარებაშიც კი უხსნიათ მდგომარეობა, მოუპოვებიათ უძნელესი გამარჯვებები. მთავარია ბუდაპეშტის სტადიონზე ჩვენმა ფეხბურთელებმა არ დაკარგონ რწმენა საკუთარ ძალებში, გამოიჩინონ ნებისყოფის სიმტკიცე, ვაუკაცობა და აღიდგინონ შელახული პრესტიჟი. თუ მტკ–მ გაიმარჯვა თბილისში, რატომ „დინამომ“ არ უნდა გააკეთოს იგივე ბუდაპეშტში?

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა იმ მაყურებელთა შესახებ რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, არასწორად იქცევიან ჩვენს სტადიონზე. სანამ დინამოელები უტევდნენ, ტრიბუნებიდან მათ მძლავრი მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ პირველივე წარუმატებლობისას გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა ზურგი შეაქცია გუნდს, გაისმა სტვენა, შეურაცხმყოფელი შეძახილები, ესე იგი ის,

რაც ხელს უწყობდა არა თბილისის „დინამოს“, არამედ მის მოწინააღმდეგეს. გაუგებარია, ვის ქომაგობენ ასეთები? ჩვენს გუნდს მაშინ სჭირდება ხელშეწყობა, როცა მას უჭირს, როცა მოთამაშეები ხელშეწყობას და თანაგრძნობას მოელიან საკუთარი გულშემატკივრებისგან და არა პირიქით.

ნუ დავივიწყებთ, რომ თბილისის „დინამომ“ წლეულს დიდი გამარჯვებები მოიპოვა, გაგვახარა საპრიზო ადგილით და თასის მოგებით, მთელ რიგ მატჩებში ნაჩვენები თამაშით და ასე უცბად, ერთი ხელის მოსმით, რაც არ უნდა საწყენი წაგება განიცადოს, ზურგი არ უნდა შევაქციოთ მას. რწმენა, ნამდვილი სპორტული რწმენა უნდა გააჩნდეთ არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ მაყურებლებსაც.

ს. შუდრა, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ბ. ქორქია

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები ჟიურიმ მიაკუთვნა გაშპარს და ხინჩაგაშვილს.

„ლელო“, 23 ოქტომბერი 1976